უშანგი ჩიკვაიძე

ყოფილი მოკრივის, საიდუმლო თანამშრომლის ჩანაწერები.

თბილისი

ყველა ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია და გამორჩეულია. განსაკუთრებულია თუნდაც იმით, რითაც ერთმანეთისგან განსხვავდებით და საინტერესოა იმითაც რითაც ერთმანეთს ასე საოცრად ვგევართ; ხასიათებით, მიზანსწრაფვიდ, იმ დროის აღმნიშვნელი უამრავი წვრილმანებით რომელ ხანაშიც ვცხოვრობთ. ან ვცხოვრობდით.

საბჭოთა ეპოქაზე უამრავი წიგნი იწერება. როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. წერენ მრავალტომეულ გამოკლევებს, მოჰყავთ ყველაფრის აღმნუსხავი სტატისტიკის უამრავი ციფრები. და მაინც ეს კლევები არაა სრული. მშრალ ციფრებსა და ზოგად ფრაზებს შორის ეპოქის სულიერება არ ჩანს, მთავარი და ძირითადი მახასიათებელი ისტორიული დროის ნებისმიერი მინაკვეთისა.

მაგრამ, თურმე შეიძლება ასეც კი. სულ რამოდენიმე გვერდი ავტობიოგრაფიული ჩანაწერებისა და მკითხველს წარმოსახვაში უმალ წარმოუდგება, გაიხსენებს ყოფილ სსრკ-ს რეჟიმულ სამყაროს მის ზეობასა, ნგრევის დასაწყის და დასასრულს. იმ ეპოქისათვის ასე დამახასიათებელ საიდუმლო სამსახურების პარპაშს. ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას მიტმასნილ ზოგიერთ ლიდერთა არასაპარადო იერსახეს.

ესაა მეოცე საუკუნის მატიანეს ფურცლები რომელიც თბილისელობის გაგებისათვის ერთი-ორი შტრიხით გვიხატავს რამდენიმე უკვე ისტორიულ კოლორიტულ ფიგურას. რომელთაგანაც ზოგიერთი ჯერაც ცოცხალია მათი ცხოვრებისათვის სახასიათო რამდენიმე ეპიზოდს ...

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ წიგნი წყდება იქ სადაც უნდა დაიწყოს. ავტორმა მასთან გაცნობის რამოდენიმე წამით წარსული ეპოქის სუნთვა გვაგრძნობინა, მისი სურნელი გაგვახსენა. ყველა ნაწერის, ყველა წიგნის საბოლოო მიზანიც ხომ ესაა...

მიხო მორჩილაძე.

ავტობიოგრაფია

საქართველოში ჩამოსულ დიდ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას ქართველებმა ჰკითხეს ბუნებით საქართველო უფრო ლამაზია თუ შვეიცარია? მან უპასუხა: “ვისაც რაჭა არ უნახავს ის შვეიცარიას ამჯობინებს _ ვინც რაჭას ნახავს ის საქართველოსო”. ხოდა მამით ამ ლამაზი კუთხიდან ვარ.

მე უშანგი ალექსანდრეს ძე ჩიკვაიძე დავიბადე მთაწმინდაზე 1930 წლის 16 ოქტომბერს. მამა ალექსანდრე მიხეილის ძე ჩიკვაიძე იყო ბუღალტერი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა 1931 წელს, დედა ივდითო (ივლიტა) კოსტას ასული გეგეჭკორი იყო დიასახლისი. მამის დაღუპვის შემდეგ სახელმწიფო მაძლევდა პენსიას 16 წლამდე. დაწყებუთი კლასები 1 -4 -ის ჩათვლით გავიარე ქ. თბილისის მე-12-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ბესიკის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ სასწავლებელს ზედმეტსახელად "თაგვების სკოლას" ეძახდნენ. ჩემი თანაკლასელები იყვნენ მაყვალა ილურიძე - შემდგომში ცეკას მდივნის დევი სტურუას მეუღლე, პროფესიით პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით გადამიყვანეს მე-8 სკოლაში, სადაც გოგოები და ბიჭები დაგვყვეს. მე-8 სკოლიდან გადამიყვანეს მე-20 სკოლაში, მე-20-ე დან მე-2 ვაჟთა სკოლაში. ჩემი პირველი სკოლის მეგობარი მე-5 კლასიდან იყო ჯუნა ვათეიშვილი, შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორი და აგრეთვე სწავლული მდივანი.

ამ პერიოდში თბილისში დაარსდა 35-ე საფეხბურთო სკოლა, სადაც მე2-ე ვაჟთა სკოლიდან ამირჩიეს მე, ხოლო 1 ვაჟთა სკოლიდან ვანო ფარადაშვილი. იმის გამო, რომ პატარაობისას მარჯვენა მხრის ნეკნი მქონდა ჩამტვრეული, სამედიცინო კომისიამ, სამწუხაროდ დამიწუნა, რის შემდეგაც 7 წელი ვჭიდაობდი კლასიკურ ჭიდაობას. 1946 წელს შევედი თბილისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმში, რომელიც დავამთავრე 1950 წელს.

15 წლის ასაკში მივედი ბესიკის ქუჩაზე მდებარე ”დინამოს” დარბაზში კრივის სექციაში, დაახლოებით 1945 წელს, სადაც დამხვდა ცნობილი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, რომელიც ჩემზე 2-3 წლით უფროსი იყო და უკვე ჩამოყალიბებული მოკრივე გახლდათ, ჰქონდა ძლიერი დარტყმები და ამავე დროს ძალიან ტექნიკური იყო. ვინაიდან მე, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ფეხბურთს სისტემატურად ვთამაშობდი და ხშირად გავდიოდი ქალაქის სპორტულ შეჯიბრებებზე, იმდენ საკვებს, ნახშირწყლებს ვერ ვღებულობდი, რომ

დახარჯული ენერგია ამენაზღაურებინა. იძულებული გავხდი, კრივისთვის თავი დამენებებინა.

1950 წელს დავიწყე კლასიკური ჭიდაობა. მწვრთნელი იყო ნერსე გრიგორის ძე აკოპოვი, რომელსაც კარგი თვისებები გააჩნდა, როგორც მწვრთნელს და როგორც პედაგოგს. 1958 წელს, იმ დროისათვის გავრცელებული იყო მცდარი აზრი, რომ სპორტსმენს სჭირდება ძირითადად ნახშირწყლები და არა ცილა. აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი წერს, რომ კუნთის მუშაობისათვის აუცილებელია ცილა - "კუნთში ჟანგბადისა და ცილოვანი ნივთიერებების გამოლევა იწვევს აღგზნების შესუსტებას". მე ისედაც ხორცს არ ვეტანებოდი, ვვარჯიშობდი ინტენსიურად, ვარჯიშის წინ ვიწყებდი მოთელვას ერთფუთიანი გირებით, მერე 1,5-იანი გირებით, ხოლო ორ-ორ ფუთიან გირას სამჯერ ავკრავდი, ასევე ვუჯდებოდი 100 კილოგრამიან შტანგას და 3 მისვლით სამჯერ ვბუქნავდი, სულ 9 ბუქნი გამომდიოდა, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ცილის უკმარისობამ ნერვულ სისტემაზე უარყოფითად იმოქმედა, მომივიდა გადაწვრთნა, მაშინ აგრეთვე მცდარი აზრი არსებობდა იმის თაობაზე, გადაწვრთნილ სპორტსმენს ვარჯიშისთვის თავი არ უნდა დაენებებინა. გადაიღალა ნერვული სისტემა. ამ პერიოდში ვვარჯიშობდი ცირკის უკან მდებარე საცურაო აუზში, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე ვიყავით მოჭიდავეები, პირველზე მოკრივეები და შტანგისტები. შხაპს ერთად ვიღებდით პირველ სართულზე.

ჩემმა მწვრთნელმა აკოპოვმა მითხრა, რომ თუ მოვუგებდი ქვე-საშუალო წონის (67-73 კგ) სპორტსმენს, მაშინ ჩამითვლიდა 2 მოგებად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რომ მე ვიყავი საშუალო წონის (62-67 კგ) კატეგორიაში. მოვიპოვე გამარჯვება და ჩამეთვალა ორ მოგებად. მინდოდა კიდევ პირველთანრიგოსანთან მოგება, მაგრამ, როგორც ზემოთ ავღნიშნე, გადაწვრთნამ მაიძულა გადავსულიყავი შედარებით მსუბუქ სპორტზე - კრივზე. ჩავედი პირველ სართულზე, სადაც მყავდნენ მოკრივე ამხანაგები, განსაკუთრებით ვმეგობრობდი სპორტის ოსტატ ზურაბ თარგამაძესთან, რომელმაც მითხრა, რომ ხუკები, ანუ დარტყმა გვერდიდან საკმაოდ ძლიერი გაქვსო, ამიტომ ტომარასთან იმუშავე პირველი რაუნდი ხუკები 6 რაუნდი პირდაპირები.

ჯანმრთელობა თანდათან გამიუარესდა, დამეწყო უძილობა, უმადობა, ხშირი ოფლიანობა, გადაჭარბებული ოფლიანობა. იძულებული გავხდი, დამეტოვებინა სპორტი. მივმართე ნევროპათოლოგს, პროფესორ ფოფხაძეს, რომელიც ამ განხრით კარგად გარკვეული იყო. ჩემმა ამხანაგმა მთაწმინდიდან, ყოფილმა მოკრივემ, შემდგომში კალათბურთელმა და შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა - თენგიზ მეძმარიაშვილმა, მირჩია, რომ წავსულიყავი მოსკოვში ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს კონოვალოვთან. ინსტიტუტი მდებარეობდა ჟიტნაიას ქუჩაზე 10-ში.

ინსტიტუტში მისვლისას ავუხსენი, რომ გადაწვრთნილი სპორტსმენი ვარ და მინდოდა აკადემიკოს კონოვალოვის ნახვა. იმხანად აკადემიკოსი კონოვალოვი მოსკოვში არ იმყოფებოდა და გამსინჯა პროფესორმა, რომლის გვარიც სამწუხაროდ არ მახსოვს, რომელმაც მითხრა, რომ თავი მოგიკლავსო, ვარჯიშისთვის თავი მაშინვე უნდა დაგენებებინათო. ამავე დროს დასძინა, რომ ეს არის ფუნქციონალური და მკურნალობის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგებაო. ასევე მითხრა, ამ განხრით თქვენ თბილისში გყავთ აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი და იმისთვის უნდა მიგემართათო.

თბილისში დაბრუნებულმა მივმართე ბინაზე აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილს, რომელმაც იგივე მიპასუხა, რომ ვარჯიშისთვის თავი უნდა დაგენებებინათო. დამინიშნა მისი გვარის "სარაჯიშვილის მიქსტურა" და ვიტამინი (ბ1), რომელსაც ვღებულობდი 6 თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კალცი გლუკონატის ტაბლეტები და გლუტამინის მჟავა. ორი წლის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მაგრამ უძილობის პრობლემა დამრჩა. მჭირდებოდა საძილე საშუალებები და ამ ნიადაგზე 1965 წელს სამედიცინო კომისიამ მომანიჭა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი.

1956 წელს შევედი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1962 წელს. ვმუშაობდი რუსთავში სპეცმშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ინჟინრად, თბილმშენის მე-5 საამშენებლო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად, ქალაქის საბჭოს საპროექტო კანტორაში ინჟინერ-კონსტრუქტორად.

პირად ცხოვრებას რაც შეეხება, რამდენჯერმე დავაპირე ოჯახის შექმნა. ერთი გოგოგნა გარდაიცვალა 18 წლის ასაკში, დანარჩენ ორს ვერ შევეწყვე და ამის შემდეგ აღარ დავოჯახდი.

1990 წელს გავხდი მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი. საზოგადოებას ყოველ ხუთშაბათს ჰქონდა კრება, სადაც ესწრებოდა დაახლოებით 150 წევრი. 1991 წლის გაზაფხულზე, მარტის თვეში, საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ კრებაზე გამოაცხადა: - ყველა რომ დეპუტატობაზე იქაჩებით, ცხინვალში ვინ წახვალთო? ხელის აწევით სურვილი გამოვთქვი წასვლისა. დანარჩენმა წევრებმა თავი შეიკავეს.

კრების დამთავრების შემდეგ ჩემს გვერდით მჯდომმა ჯუმბერ აბულაშვილმა მითხრა: მეც შენთან ერთად მოვდივარო. მივედით ვაჟა ადამიასთან. დაგვიბარა შაბათს დილით 9 საათზე "საზოგადოებაში".

მეორე დღეს, პარასკევს მე და ჯუმბერი წავედით ნავთლუღში ძეხვის ფაბრიკაში და დირექტორს ვთხოვეთ, რომ ორი ცალი ძეხვი მოეცა და თან ფული

დავუდეთ, ვუთხარით, რომ ხვალ მივდივართ ცხინვალში და ეს ძეხვი დაგჭირდება 2-3 დღის სამყოფად. დირექტორმა გვითხრა, მე ვერელი ვარო, თქვენ ცხინვალში მიდიხართ და მე ორი ცალი ძეხვის ფული როგორ უნდა ავიღოო, ტირილი არ დამაწყებინოთო. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და მაგიდაზე დადებული ფული უკან ავიღე. ორი დღის შემდეგ მოხდა საზარელი შემთხვევა, - ოსმა სეპარატისტებმა ოთხი გორელი ბიჭი შეიპყრეს, ჯერ აწამეს, შემდეგ კი დაწვეს.

შაბათს დანიშნულებისამებრ დილის 9 საათზე მივედით "საზოგადოებაში", ვაჟა ადამიამ გვითხრა: - ორი კაცი სად წახვალთო და გაგვიშვა გურჯაანში, სადაც ჩვენი საზოგადოების წევრის მშობელი გარდაიცვალა. 1991 წლის აგვისტოში ოფიციალურად დავტოვეთ "საზოგადოება".

1992 წელს მივედი საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომლის მინისტრი იყო ჩემი თანაკლასელი და მოგვარე ალექსანდრე ჩიკვაიძე, მივულოცე დაკავებული თანამდებობა.

1992 წლის ბოლოს კვლავ მივედი სამინისტროში და მინისტრს ვუთხარი, რომ ჩემი საცხოვრებელი სახლის, მუხიანის მე-2 მ/რ.-ის მე-9 კორპუსის პირდაპირ 100 მეტრში იდგა სამსართულიანი შენობა, რომელიც იყო უპატრონოდ მიგდებული. აღნიშნულ მისამართზე ვცხოვრობდი 1984 წლიდან და ვუთხარი, რომ მინდოდა იმ სახლში უპატრონო ბავშვთა სახლის გახსნა, დახაზული მქონდა გენერალური გეგმა. მინისტრმა გამაცნო სამინისტროს გენერალური დირექტორი თენგიზ გორდელაძე, რომელმაც შემდგომში მითხრა, რომ მინისტრს უნდოდა პირადად დაეთვალიერებინა ის ადგილი. ჩავჯექით მის მანქანაში და მივედით ჩემს სახლში. ლოჯიდან დავინახე ის შენობა, რომელიც ხელისგულივით ჩანდა. გორდელაძის თხოვნით მივედით ამ შენობასთან. მან დათვალიერების შემდეგ მითხრა, სინათლე რომ აინთება, დამირეკეო, მე ვუთხარი, 1984 წლიდან აქ ვცხოვრობ და იქ არც სინათლე მინახავს და არც ხალხი-მეთქი. ეს შენობა აღმოჩნდა ოპტიკის ინსტიტუტის. გორდელაძემ გამიმეორა, სინათლე რომ აინთება, დამირეკეო. მივხვდი, რომ რაღაც ნიშანი იყო. არ გავიდა დიდი ხანი, და ამ შენობის პირველი სართულის მარჯვენა პირველი ოთახის ფანჯარაში აინთო შუქი. დავურეკე გორდელაძეს, მითხრა, ამოდი სამინისტროშიო. რომ მივედი, მითხრა, - გუშინ საღამოს ჩემი მანქანა სამინისტროს ეზოში რომ შედიოდა გვარდიის ფორმაში ავტომატით შეიარაღებულმა რამდენიმე პირმა გაიტაცესო. ვუთხარი, რომ ეგ ცუდი ფაქტია, რა გარანტიაა, რომ ხვალ მინისტრის მანქანას არ გააჩერებენ. გორდელაძემ მითხრა, მოიფიქრეთ რამეო. მე ვუთხარი, მომეცით ავტომატი და მე დავიცავ მინისტრს. მინისტრს იცავს უშიშროების მაიორიო. თქვენ ხომ არაფერში გამოგადგებით-მათქი? მომხდარის შესახებ მილიციამ იცისო. აფხაზეთში გამიშვით. - ვთხოვე მე. იარაღი არ გვაქვსო. ამის შემდეგ რამდენიმეჯერ აინთო სინათლე რაღაც უმნიშვნელო საკითხებზე.

1993 წლის ბოლოს ზემოთ აღნიშნულ ფანჯარაში კვლავ აინთო სინათლე. დავურეკე გორდელაძეს, რომელმაც მითხრა: - მოქალაქეთა კავშირი ყალიბდება, მინისტრი და მე ანკეტას ვავსებთო და მინისტრმა გთხოვათ, თქვენც გაწევრიანდითო. მე თანხმობა მივეცი. მითხრა, დამირეკე ხვალეო. მეორე დღესვე დავურეკე. მითხრა, - მოდი გლდანის გამგეობაში, ნახე სოსო ლომთაძეო.

1993 წლის დეკემბერში ოფიციალურად გავხდი მოქალაქეთა კავშირის წევრი. როგორც აქტიურ წევრს, პრემია მაქვს მიღებული კუპონებში.

1994 წლის ბოლოს დამიბარეს ქალაქის ორგანიზაციაში, თავმჯდომარის მოადგილემ კუბლაშვილმა მითხრა, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ქვეყანაში დესტაბილიზაცია აწყობთ, რადგან მღვრიე წყალში თევზს კარგად იჭერენ, აპირებენ ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად გამოსვლას და არეულობის მოწყობას. ამიტომ გვინდა შევქმნათ ჯგუფი ამ დესტაბილიზატორების დასაფანტად და გვინდა, რომ ამ ჯგუფს თქვენ უხელმძღვანელოთ. მე ვუთხარი, რომ დავთანხმდებოდი იმ პირობით, თუ არავითარი ხელკეტები და იარაღი, მხოლოდ ცარიელი ხელებით დავფანტოთ, ამისათვის დამჭირდება ახალგაზრდები. მითხრა, რომ ხვალე წადი ცენტრშიო. მეორე დღეს ცენტრში, დერეფანში შევხვდი ზურაბ ჟვანიას, ახალგაზრდა კაცთან ერთად იყო, ეტყობოდა, ძლიან ეჩქარებოდა. მიუთითა ახალგაზრდას - იქ შეიყვანეო. იქ დაგვხვდა უშიშროების ორი თანამშრომელი. ერთმა გამაცნო თავი ზვიად კუპრაშვილად და რომ გაიგო, რომ მთაწმინდაზე ვარ დაბადებული და გაზრდილი, მითხრა, რომ თ[ითონაც იქიდან იყო, რის შემდეგაც დავიწყეთ შინაურული საუბარი. მანაც იგივე გამიმეორა, რომ არის ხალხი, რომელთაც აწყობთ დესტაბილიზაცია, რათა მღვრიე წყალში თევზი კარგად დაიჭირონ და აპირებენ ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად გამოსვლას და გვინდა მათ წინააღმდეგ შემქმნათ ჯგუფი და ჯგუფის ხელმძღვანელად მე დამასახელა. . მე იგივე ვუპასუხე, - არავითარი ხელკეტები და არავითარი იარაღი, ცარიელი ხელებით დავფანტავთ, ოღონდ მინდა ჯგუფში ახალგაზრდები. შემეკითხა, რამდენ კაცს თხოულობო. ვუთხარი, რომ ოცი კაცი მჭირდებოდა, ვინაიდან არც თქვენ იცით და არც მე იმ ჯგუფში რამდენი ადამიანი იქნება. ყოველ რაიონში იყოს 10 კაცისგან შემდგარი რეზერვი. შემეკითხა, ვის დაასახელებთ თქვენო. მე დავასახელე მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული კავშირის წევრი, მძიმე წონის მოჭიდავე, ნიკო აფციაური, რის შემდეგაც მითხრეს, რომ მოდით ზეგო. მეორე დღეს დაუბარებიათ ნიკო აფციაური, რომელმაც ამ თხოვნაზე თანხმობა მისცა. ამის შემდეგ დღეს ზვიადმა მითხრა, - ხალხი რომ ვერ შეკრიბოთ, რა ვქნათო? მე ვუპასუხე, რომ დავაველაპარაკებოდი ახალგაზრდებს, უარის შემთხვევაში თავიანთი ვაჟკაცობა მაგრად შეინახონ.

მე მეორე დღეს ვნახე ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი, 20 წლის, აღნაგობით ძალიან დიდი, 100 კილოგრამამდე ახალგაზრდა კაცი, გავიცანი და ვთხოვე, რომ ჩართულიყო ამ საქმეში. მან მიპასუხა, - ბატონო უშანგი, მე

გიტარაზე დაკვრა მიყვარს და ის მირჩევნიაო, მე სიმწრისაგან გამეცინა და ვუთხარი, - რადგან გიტარა გირჩევნია, უკარი და იყავი-მეთქი.

1994 წლის 18-დან 20 მარტამდე იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა I ყრილობა, რაიონის თავმჯდომარემ, ცხონებულმა სოსო ლომთაძემ მითხრა, - უშანგი, ხომ იცი, შენ მოქალაქეთა კავშირის კამო ხარ, კარებში უნდა იდგე და კარის დაკეტვის შემდეგ ზევით უნდა ახვიდე და ყველაფერს თვალ-ყური ადევნოო, მე ვუთხარი, - სოსო, ლენინმა კამოს ველოსიპედი მაინც აჩუქა-მეთქი, თქვენ კი გემსახურებით, თან სახლიდან ყველაფერს ვყიდი და ისე ვარსებობ-თქო. ყრილობა მიდიოდა სამი დღე, ყოვედღე ესწრებოდა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე , მაშინდელი სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

ამას მოჰყვა 9 აპრილი. გლდანის რაიონის თავმჯდომარის მოადგილემ ვიტალი გოგუაძემ მითხრა, რომ ხვალ წადი მთავრობის სახლთან, დღევანდელი პარლამენტის შენობასთან, იქიდან წადი სიონის ეკლესიაშიო. მეც ასევე მოვიქეცი. მოვიდნენ ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია, ალექსანდრე ჩიკვაიძე.

1995 წელს ყოფილი ცეკას მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი რომ გარდაიცვალა, მომცეს ნიშანი, წავსულიყავი გასვენებაზე, სადაც მოვიდა ჯაბა იოსელიანი თავისი ამალით საფლავთან. შევარდნაძის გვერდით ვიდექი, ტელევიზორში უჩვენებიათ. ერთმა ამხანაგმა დამირეკა და მითხრა, - ტელევიზორში გნახე და მის გვერდით იდექიო. მე ვუთხარი, - მის გვერდით კი ვიდექი, მაგრამ იქ ხელი არ ჩამოურთმევია. მან ხუმრობით მითხრა, პრეზიდენტმა ხელი რომ ჩამომართვას, იმ ხელს ერთი კვირა აღარ დავიბანო.

1995 წლის გაზაფხულზე, როგორც კი ლოჯიაში გავიდოდი, ჩემი ლოჯიის პირდაპირ მდებარე ავტოსერვისიდან მანქანა ორ სიგნალს იძლეოდა. მივხვდი, რომ ეს სიგნალი მე მეხებოდა. იმასაც მივხვდი, რომ ავტოსერვისში იყო დადგმული ვიდეოკამერა და კომპიუტერის მსგავსი დანადგარი. ამასთან დაკავშირებით მივედი უბნის რწმუნებულთან, პოლიციის მაიორ გიორგი კაკაურიძესთან და ვუთხარი, - ავტოსერვისიდან განვიცდი ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მან მითხრა, ეს საქმე გასაიდუმლოებულიაო.

ძალიან რომ შევწუხდი, მეორედ მივედი. მითხრა, - ამ თემაზე საუბარი აკრძალული გვაქვსო. ვინაიდან ეს ყველაფერი მიმართული იყო ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, მე ავყევი მათ. დილით ლოჯიის ფანჯარას რომ გამოვაღებდი, ავტოსერვისის წინ მანქანა ისე იყო განლაგებული, რომ ასოციაციით ვუკავშირებდი, ვხვდებოდი სად უნდა მივსულიყავი. პირველ ხანებში ცოტა ვცდებოდი. სახლში რომ მოვიდოდი, დაახლოებით სამი საათისთვის უნდა დამეწერა და მეჩვენებინა ზემოდან სად ვიყავი. 29-30 აპრილს დილითმომცეს ნიშანი, რომ წავსულიყავი სიონის ეკლესიაში ლიტანიობაზე, სადაც მოვიდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და ზურაბ ჟვანია.

მე მივედი ეკლესიაში საღამოს 6 საათზე. ხალხი თითო-ოროლა მოდიოდა. ათი საათისთვის მოვიდნენ ჩემი ამხანაგები, რომლებიც ცხოვრობდნენ თავისუფლების მოედანზე. ისინი დაახლოებით ღამის 2 საათზე წავიდნენ. მე ვიდექი შესასვლელიდან ხელმარჯვნივ კედელთან. ჩემს წინ იდგნენ ხელოვნების ხალხი, - ლანა ღოღობერიძე და რამდენიმე სხვა პირი. მარცხენა სამრეკლოში მთელი ღამის განმავლობაში იყო გლდანის რაიონის პროკურორი, რომელსაც სახეზე კარგად ვიცნობდი.ის წავიდა გამთენიისას. ღამის 3 საათზე მოვიდა მხედრიონელი ხაჩიძე, კათედრას ზურგი მიაქცია და მე დამიწყო ყურება. მთელი თხუთმეტი წუთი თავი არ მოუცილებია და შემდეგ წავიდა. ჩემმა ყოველდღიურმა მუშაობამ გასტანა ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

1996 წლის 14 აპრილს ეზოში, სადაც ავტოსერვისია მოთავსებული, ღობესთან ახლოს სამი კაცი იდგა. მე პირობით ვიყავი მარცხენა და 2, ხოლო ხალხი ან პიროვნება - 3 ვუყურებდით ჩემს ლოჯს. როგორც კი ლოჯის ფანჯარა გამოვაღე, ერთმა მათგანმა მარცხენა ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ხელი, რომელშიც თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა და გადისვა თვზე. ადვილი მისახვედრი იყო, რომ საღამოს უნდა წავსულიყავი რაიონის ეკლესიაში ლიტანიობაზე, სადაც მოვიდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია და პრემიერ მინისტრი. საღამოს 10 საათზე გავედი სანაპიროზე. მილიციის პოლკოვნიკი შემეკითხა, საიდან ხართო. მე ვუპასუხე, რომ მოქალაქეთა კავშირიდან ვიყავი. მითხრა, კიბეებს მიხედეო. მე ავედი კიბის ბოლოს, დავდექი.

1999 წელს ჩემმა მეგობარმა ენრიკო კოპლატაძემ, რომელმაც საქართველოში კულტურიზმი დააარსა მოსკოვიდან ჩამომიტანა წიგნი «Россия бандитская,» რომლის ავტორია მილიციის პოლკოვნიკი სერგეი დიშევი, სადაც წერს, რომ მოსკოვში 90-იანი წლების შემდეგ დათარეშობენ ორგანიზებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფები, 150-200 კაცის შემადგენლობით, მათ შორის იყო ბაუმანის ორგანიზებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომლის ლიდერი იყო ჩეჩენი წარმოშობის მეტსახელად "გლობუსა", რომელიც მოკლა კურგანის ორგანიზებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფმა, 40 მეტრის მანძილიდან ტყვია გულში მოარტყა. 'სოლონიკი' იყო ძებნილი რუსეთის მილიციის მიერ, რომელიც იმალებოდა საბერძნეთში, ქ. სალონიკში და ახალი წლის წინა დღეებში მასთან ჩავიდა 18 წლის, ულამაზესი, მის სვეტლანა და ეს სალონიკი და მისი სტუმარი მის სვეტლანა საბერძნეთის პოლიციამ ნახა ნაკუწებად დაჭრილი. ორივეს ცხედარი იყო ჩალაგებული ჩანთებში და იდო გზის პირას. სრული შემთხვევით გავიგე, რომ "გლობუსას" საქმის გამგრძელბლები აპირებდნენ თბილისის აოხრებას. ვიდრე ამ ამბავს გავიგებდი, ერთ-ერთმა, ეროვებით ქურთმა, რომელიც ქურთებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მითხრა, - რომ სომხებს და ქართველებს შორის თუ ომი დაიწყო, ჩვენ სომხებს მივემხრობითო. მე ცოტა წონასწორობა დავკარგე და პირდაპირ ვუთხარი, - თქვენ სომხებს ერთად დედა

გეტირებათ-მეთქი, რის შემდეგაც ხმა აღარ ამოუღია. როგორც ზემოთ ავღნიშნე, "გლობუსას" საქმის გამგრძელებლები აპირებდნენ თბილისის აოხრებას. ავიღე წიგნი «Россия бандитская» , მივედი პოლიციაში, ვუჩვენე წიგნი, ვნახე უბნის რწმუნებული გიორგი კაკაურიძე და ვუთხარი, - რომ ასეთი საშიშროება ელის თბილისს. მეორე დღეს დილით ლოჯიის ფანჯარა რომ გამოვაღე, ავტოსერვისის ეზოს შესასვლელ კართან მარცხენა მხარეს იდგა მათი მექანიკოსი, რომელსაც კისრის მარცხენა მხარეს ეკეთა წითელი კაშნე, გულის დაფარვით. ადვილი მისახვედრი იუყო, რომ ეს ნიშანი იყო, ლაპარაკი იყო "გლობუსაზე". იმ დღესვე შევუდექი მუშაობას. ვინაიდან მე ის ამბავი, რომ "გლობუსას" საქმის გამგრძელებლები აპირებდნენ თბილისის აოხრებას, შევიტყვე გლდანის მაცხოვრებლებისგან, იმავე დღეს გლდანში არსებული "გლობუსის" ფაბრიკის სახურავის თავზე შვეულმფრენი მთელი ნახევარი დღის განმავლობაში დაფრინავდა. დაეშვებოდა სახურავზე, ფრინდებოდა, ყველასთვის ნათელი იყო, რისი მანიშნებელი იყო ეს.

1999 წლის ზაფხულში მივედი პარლამენტის შენობასთან, მარჯვენა ხელში მეჭირა ერთი შავი და თეთრი ცელოფნის პარკი, ვუყურებდი პარლამენტის შენობას, მხედველობაში მქონდა ის, რომ ერთ-ერთმა პარლამენტის წევრმა, რომელმაც ფოთის ნავმისადგომი, რომელიც შეფასებული იყო 30 000 დოლარად, შეისყიდა 7 000 ლარად, თანაც ამტკიცებდა, მე საბუთები წესრიგში მაქვსო. მარჯვენა ხელი აწეული ჰქონდა და რომ მივედი შენობის შუა ადგილას, შავი ცელოფნის ტომარა ჩავდე თეთრში და ისე გავიარე. ამით მოვუწოდებდი პარლამენტარებს, - შავი საქმისათვის თავი დაენებებინათ. მეორე დღეს წავედი სახელმწიფო კანცელარიისკენ. კიბეები რომ ავიარე, მანქანის შესასვლელ კართან იდგა დაცვის 2 თანამშრომელი, ეტყობა, წინა დღის ამბავი მათ არ გამოპარვიათ. მარცხენა ხელში მეჭირა შავი და თეთრი ცელოფნის პარკი.

მანქანის შესასვლელ კართან ერთმა დაცვის თანამშრომელმა ავტომატი კარების "რეშოტკებს" შორის ჩადო, მიყურებდა და თან აქეთ-იქით ურტყამდა. მე ამ ამბავს არ მივაქციე ყურადღება და გავაგრძელე გზა. კიბეები რიომ ავიარე, თეთრი ცელოფანი მოვიქნიე და გადავაგდე, რომელიც მეჭირა მარცხენა ხელში, ხოლო მარჯვენა ხელში მეჭირა შავი ცელოფნის პარკი, რომელიც მაღლა მქონდა აწეული და ისევ გადავკვეთე ყოფილი ძერჟინსკის ქუჩა და ქუჩის ბოლოს გადავაგდე.

ამით ის გამოვხატე, რომ მოქალაქეთა კავშირს თუ რამე უჭირდა, როგორც ადრე ავღნიშნე, თითქმის ყოველდღიურად მაძლევდნენ დავალებებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და ისე ვემსახურებოდი როგორც ხალხს, ასევე პარტიას.

როდესაც ავად გავხდი, ყურადღება არავინ მომაქცია და ეს მქონდა გამოხატული მთავრობის კანცელარიასთან. როდესაც ქვეყანას უჭირდა, ყველგან უშანგის აგზავნიდნენ დაწყებული 1993 წლის ბოლოდან, ხოლო როცა მდგომარეობა შედარებით გამოკეთდა და მე რომ ინსულტით დავაადდი, ყურადღება არ მომაქციეს, უფრო მეტიც, ზურგი შემაქციეს, ლაპარაკია მოქალაქეთა კავშირზე.

იძულებული გავხდი, გავსულიყავი მოქალაქეთა კავშირიდან და ეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა. გაავრცელეს ხმა, რომ უშანგი მოქალაქეთა კავშირიდან გავრიცხეთო. ბოლოს რომ ვნახე ხელმძღვანელობა და ვკითხე, - თქვენ მე მოქალაქეთა კავშირიდან გამრიცხეთ-თქო? - არა, - ცივი უარი თქვეს. ამის შემდეგ ამბობდნენ, რომ უშანგისთან ყველა ვტყუივართო. ჩემთან მოვიდა ცენტრიდან გამოგზავნილი, რომლის სახელი და გვარი აღარ მახსოვს და მითხრა, მოქალაქეთა კავშირზე ამდენი ამაგი გაქვთ და რატომ ყრით წყალშიო. ორი თვის შესვენების შემდეგ კვლავ აღვიდგინე თავი.

1999 წლის ზაფხულში სახლიდან რომ გამოვედი და ცენტრალურ ქუჩაზე გავედი, მანქანამ მოძრაობის წესები საშინლად დაარღვია გადმოვიდა გზის მარცხენა მხარეს, საწინააღმდეგო მიმართულებით. მანქანაში ორი სამხედრო იჯდა. წინა დღით წავედი ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე მდებარე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, გულზე მქონდა მიკრული წარწერა - "რუსო ჯარისკაცებო, გაეთრიეთ საქართველოდან" - მივხვდი, რომ უნდა წავსულიყავი გუშინდელ ადგილას. ჩამოვედი მაშინდელი პავლოვის ქუჩის დასაწყისში, ფეხით მივედი ვაკე-საბურთალოს გადასასვლელამდე. კუთხეში ორმა ქართველმა ოფიცერმა რომ დამინახეს, იმავე წუთში ჩაჯდნენ, რაც ნიშანი იყო, რომ გავჩერებულიყავი. მე გადავედი ფიზიკის ინსტიტუტის მხარეს და დავეშვი ქვემოთ. კუთხეში, სასაფლაოსკენ მიმავალ გზასა და ვაკეში მიმავალ გზას შორის იდგა პოლიციის მანქანა, უკან ორი წითელი ნათურა ჰქონდა ანთებული, რითაც ნიშანი მომცეს, რომ არ წავსულიყავი ზემოთ. მე წავედი, შენობის მთავარ შესასვლელს რომ მივუახლოვდი, იქ იდგა ორი რუსი სამხედრო. სალდათმა ავტომატი მომიღერა, ხოლო ოფიცერმა მაღლა ასწია მარცხენა ხელი და სვეტს მიადო,

მე მათ ვუყურებდი და ისე ავიარე დაახლოებით 50 მეტრი, რომ გავცდი შენობას და ღობეს. მოძრაობა, რომელიც შეწყვეტილი იყო, გაუშვეს. საღამოს რადიო -2-მა გადმოსცა, დღეს დილით ვაკე-საბურთალოს გადასასვლელ ხაზზე ორი თეთრი ჟიგული შერეჯახა ერთმანეთს, მსხვერპლი არ ყოფილა, პოლიცია გაფრთხილებთ, - "ფრთხილად ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე მოძრაობისას".

ჩემმა მუშაობამ გასტანა ნოემბრის ბოლომდე - ვიდრე პარლამენტის არჩევნები არ დამთავრდა. მაშინდელ პრეზიდენტს შევარდნაძეს განცხადებით მივმართე, რომ ვარ მშენებელ-ინჟინერი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენზე დამეწყო მუშაობა. ჩემი განცხადება გადაგზავნა საერთაშორისო ნავთობკორპორაციის თავმჯდომარესთან, ჭანტურიასთან. მისმა მოადგილემ მითხრა, რომ ფრანგული კომპანია აწარმოებს მშენებლობას და ჩვენ ახლოს არ გვაკარებსო. ამის შემდეგ გამაგზავნეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამინისტროში.

დასაქმების სამსახური იყო კრწანისში ე. შევარდნაძის სახლის ასახვევთან, სადაც მიმიღო უფროსმა თამარ ანთაძემ, რომელმაც მითხრა, - თქვენი შესაფერისი სამსახური არა მაქვს და თუ რამე გამოჩნდა, აუცილებლად დაგიკავშირდებითო. იმავე საღამოს ავტოსერვისში, რომელშიც 4 ბოქსი იყო მარჯვენა და 4 ბოქსი მარცხენა მხარეს, მარცხენა მე-2 ბოქსში ღამით აინთო სინათლე. გასაგები იყო, - სინათლე რომ აინთებოდა იმ ბოქსში, უნდა მიმემართა პრეზიდენტისთვის. ეს პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილი ნიშანი იყო.

ყოფილი ცეკას მდივანი დევი სტურუა რომ გარდაიცვალა, მივედი პანაშვიდზე. დევის მეუღლე მ,აყვალა ილერიძე არის ჩემი თანაკლასელი პირველიდან მეხუთე კლასამდე. ერთ მერხზე ვიჯექით. საღამოს ზემოაღნიშნული შენობის, როგორც უკვე ავღნიშნე, პირველი სართულის მარჯვნივ პირველი ფანჯარა იყო თ. გორგელაძის ნიშანი. მეორე ფანჯარაში აინთო სინათლე - ადვილი მისახვედრი იყო, რომ მეორე დღეს უნდა წავსულიყავი გასვენებაზე, სადაც მოვიდა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მეუღლე, რომელსაც სიარული უჭირდა.

ბოლოს 7 ნოემბერს რუსთაველზე რომ გავიარე ლაღიძესთან, იდგა აჭარის ავტობუსი. იმ საღამოს ზემოთ აღნიშნულ ბოქსში აინთო სინათლე, მე იმ ზაფხულს ვისვენებდი სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში, რომლის გამგებელი იყო ჩემი დეიდასშვილი, რომელმაც სოფელ იანეთის მცხოვრებლები წაიყვანა ბათუმში ექსკურსიაზე და მეც წამიყვანეს. ქალაქის დათვალიერების შემდეგ სადილად წავედი ერთ სასადილოში, სადაც, როგორც კი სუფრას მივუჯექით, შემოგვიერთდა "აღორძინების" 5 წევრი, რომელთაც "აღორძინებაში" საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ, რომლებმაც სადღეგრძელოში თქვეს, აჭარა მართავდა ყოველთვის საქართველოს და საქართველოს დღესაც და ხვალაც აჭარა გამართავს. ჩემთვის გაუგებარი იყო - ისტორიკოსი არ ვარ, მაგრამ კი ვიცი, რომ აჭარა პერიოდულად თურქების ხელში იყო და მას საქართველო არასდროს უმართავსდა ვერც ვერასდროს გამართავდა.

ჩემი ბათუმში ყოფნა სპეც.სამსახურებს არ გამოპარვიათდა ის იყო ნიშანი, პრეზიდენტისთვის მიმეწოდებინა აჭარის ინფორმაცია. მე დავწერე განცხადება,

დავწერე ზემოთ აღნიშნული და ჩავაბარე. ჩემი განცხადება შემდგომში გადმოგზავნილ იქნა გლდანის რაიონის გამგეობაში,ხოლო 8 ნოემბერს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ეწვია ბათუმს.

1989 წელს ყოფილი ტანმოვარჯიშე თემურ ფარისაშვილი გარდაიცვალა. ჭირის სუფრა დურუჯში (ძველ სტელაში) ჰქონდა. ცალკე მაგიდასთან რამდენიმე მეგობარი ვისხედით - სერგო დოლიძე, სერგო რაზმაძე და რამდენიმე ყოფილი და მოქმედი სპორტსმენი. სერგო დოლიძე დაწოლილი ასსამოცკილოგრამიან შტანგას ჭიმავდა და ოცდათვრამეტკილოგრამიანი განტელებით ვარჯიშობდა. სერგო რაზმაძე ცალი ხელით ოთხმოცკილოგრამიან შტანგას ჭიმავდა.

ხშირად დავდიოდით ბოტანიკურ ბაღში სავარჯიშოდ. მოკრივის თათებზე ვვარჯიშობდით, სერგო დოლიძეს საკანდიდატო დისერტაცია დაცული ჰქონდა და სადოქტოროზე მუშაობდა.თათებზე ვარჯიშის დროს ძლიერი დარტყმა არ გამოდიოდა დაბერილი კუნთების გამო. დაიწყო კარატეზე ვარჯიში მის მეგობარ ზურა ლეჟავასთან ერთად, რომელმაც საქართველოში კარატე დააარსა. შემდეგ დაიწყო ვარჯიში ლაოსელ ბულაბასთან. სუფრასთან მოვიწვიეთ ცნობილი ქუთაისელი მოკრივე ზემელ მაჭავარიანი, რომელიც ამავ დროს მილიციის მაიორი იყო. ჩამოვარდა სპორტზე საუბარი. საუბრის დროს ს. რაზმაძემ უთხრა ზემელ მაჭავარიანს, - 80-იან წლებში უშანგისთანა ძლიერი დარტყმა საქართველოში არც ერთ მოკრივეს არა ჰქონდაო.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მსენებლობა რომ დაიწყო, პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს მივმართე განცხადებით, რომ სპეციალობით ვარ მშენებელ-ინჟინერი, ამავდროულად ვმუშაობდი წყალთა მეურნეობის სამინისტროში ტოპოგრაფად წნორი-მილარის ტოპოგრაფიულ გადაღებაზე, სადაც ექვსი ტოპოგრაფი ვმუშაობდით. ვთხოვდი, მოეცათ ჩემთვის სამუშაო ადგილი. ჩემი განცხადება გადაგზავნილ იქნა საერთაშორისო ნავთობკორპორაციაში, რომლის ხელმძღვანელი იყო ჭანტურია. მიმიღო მისმა მოადგილემ, რომელმაც მითხრა, რომ სამუშაოს აწარმოებს ფრანგულუ კომპანია და ჩვენ ახლოს არ გვიკარებსო. ნათელი იყო, რომ სევარდნაძემ ჩემს თხოვნას ყურადღება არ მიაქცია.

2008 წლის 11 აგვისტოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა საყოველთაო მობილიზაცია რომ გამოაცხადა, 12 აგვისტოს მივედი პრეზიდენტის სასახლეში, სადაც ჭიშკართან რამდენიმე ადამიანი იდგა. ვუთხარი, რომ მოხალისედ მინდა ჩავეწერო-თქო. შემეკითხნენ, რომელ რაიონში ცხოვრობო. ვუპასუხე- გლდანის რაიონში-მეთქი. მითხრეს - გლდანის რაიონის გამგეობაში მიდით და იქ ჩაგწერენო. . გამგეობის შენობასთან გარეთ იდგა მაგიდა, სადაც ჩამწერეს, მომთხოვეს პირადობის მოწმობა და მობილურის ნომერი. მითხრეს, საჭიროების შემთხვევაში დაგიკავშირდებითო. გლდანი-ნაძალადევის რაიონში დაახლოებით

500 000 მოსახლეა და რამდენი კაცი ჩაეწერა მოხალისედ, პასუხის გაცემა თვდაცვის სამინისტროსთვის მიმინდვია.

2011 წლის ზაფხულში თბილისის ზღვაზე ვვარჯიშობდი. ჩემთან ერთად ვარჯიშობდა ცნობილი მოკრივე ანზორ ბაღაშვილი, რომელიც შეჯიბრზე ჩრდილო კავკასიის სახელით გამოდიოდა. მოკრივის თათებზე ვარჯიშის დროს მითხრა, - მარჯვენა ხუკი იმდენად ძლიერი გაქვს, პირდაპირ ჩეხავო.

საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან რუსეთში დღემდე, ხოლო საქართველოში 2006 წლამდე იყვნენ კანონიერი ქურდები, რომლებსაც 2006 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკავშილმა ბოლო მოუღო. კომუნისტური წყობის ლიდერებმა რომ გადაწყვიტეს, რომ ნახევარი საბჭოთა კაშვირის მოსახლეობა პატიმრობაში ყოლოდა და მათი საშუალებით განსაკუთრებით რუსეთში ჰიდრო სადგურები დიდი ქარხნების მშენებლობაზე უფასო მუშები ყოლოდათ პატიმრების სახით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქიმიური ქარხნის და სხვა 11000 პატიმარი მუშაობდა და მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პატიმრები შიშის ქვეშ ყავდათ ამ კანონიერი ქურდების წყალობით ცნობილია ფელიქს დერჟინსკის გამონათქვამი “ჩჰტლბ დჯჰჯდ დჯჰ 'ნჯ ტცნ დჯჰ პფრჯყტ” და ეს ქურდები მართავდნენ კოლონიებს შიგნით.

კანონიერი ქურდები დაუწერელი კანონის შემდგენი იყო. თვით მთავრობა და ეს კანონიერი ქურდები მუშაობდნენ მთავრობის სასარგებლოდ. შემდეგ, დროთა განმავლობაში მთავრობის მიმართ მტრულად განეწყვნენ და მათი ლოზუნგი იყო “სიცოცხლე ვარიებს, სიკვდილი ბოზებს”. ბოზებად გულისხმობდნენ ძირითადად მილიციას, რაიკომის თანამშრომლებს. ქალაქისა და რაიონის საბჭოს თანაშმრომლებს გამოძიების დროს ვინც გატყდებოდა და ხელს დაადებდა ნამდვილ დამნაშავეს და ა.შ. და ამის შემდეგ კომუნისტურმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა მათ, მაგრამ უკვე კანონიერი ქურდები მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

1950 წლებში თბილისში ყველა ლამაზ ქალიშვილს კანონიერი ქურდებისკენ ეჭირათ თვალი. მოვიყვან ერთ მაგალითს რესპუბლიკის მილიციის უფროსის გენერალ კაპიტან ნაჭყებიას, რომელსაც პოლონელი მეუღლე ყავდა და მისი ქალიშვილი ულამაზესი იყო, ცოლად გაჰყვა კანონიერ ქურდს ლევიკო რამიშვილს. დროთა განმავლობაში ეს შეხედულება თანდათან შეიცვალა, მაგრამ ისინი ქვეყანაში დიდი

ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ერთი რამ დღემდე ჩემთვის გაუგებარია. ე. შევარდნაძე, რომელიც იყო კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი, შემდეგ შ. საქმეთა მინისტრი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი, თავის პრეზიდენტობის დროს ერთ-ერთ გამოსვლაში თქვა: “მერე რაო, რომ ქურდიაო”. ცნობილია, რომ მისი ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე, როდესაც მას რამდენჯერმე მოუხდა თავის გამართლება, რომ ნუგზარ შევარდნაძე ჩემი ოჯახის წევრი არ არისო, ნუგზარი და კანონიერი ქურდი შაქრო კალაშოვი ხომ მეგობრები იყვნენ და ამ შაქროს წყნეთში 11 000 000 შეფასებული სახლი ჩამოართვეს და სულ ცოტა ხნის წინ მისი ხელმძღვანელობით საქართველოში რამოდენიმე პირი დააკავეს ტონა მორფის შემოტანაზე. ნაძირალა შაქრო წესით იმ კანონით უნდა გასამართლდეს, რა კანონიც არის ინდონეზიაში. ქართველი ქალი მორფით ვაჭრობისთვის რომ დააკავეს და ჩამოხჩრობა არ დასჭირდებოდა, ჩვენს მთავრობას რომ არ ეშველა, არ დახმარებოდა.

ჩემი ჭაბუკობის მეგობარი ჯუანშერ ჯურხაძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, არაჩვეულებრივი ღონის და აღნაგობის. “დიდოსტატის მარჯვენაში”

ამირსპასალარის როლს თამაშობდა. სპეციალობით ისტორიკოსი იყო. 60-იან წლებში მუშაობდა ავჭალის საღამოს სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. საპირველმაისო დღესასწაულზე სკოლაში იყო დანიშნული მორიგედ, რუსული ენის მასწავლებელთან ერთად. შენობის ნახევარი მხარე იყო სკოლა, ხოლო მეორე ნახევარი კი _ ტექნიკური სასწავლებელი. გვქონდა წაღებული სასმელი და პურმარილი. ღამის სამ საათზე დავტოვე ის ოთახი, სადაც სუფრა იყო გაშლილი, შევედი სამასწავლებლოში, რომლის კარიც შენობის შემოსასვლელი კარის პირდაპირ იყო.

ასევე ტექნიკური სასწავლებლიდან იყვნენ მორიგეები. ჩემი წამოსვლის შემდეგ ჯუანშერი და ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი შეპარაკებულან, რის შემდეგ ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს მუქარით დაუტოვებია იქაურობა. ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ცხოვრობდა ავჭალაში, უთქვამს, რომ ეს კაცი ავჭალის კოლონიაში სასჯელს იხდიდა მკვლელობისათვის და სასჯელის მოხდის შემდეგ ავჭალაში ჩაესიძა. იქნებოდა დილის ექვსი საათი, როცა დავიძახეთ, რომ სკოლის ეზოში შევიდა სანადირო თოფით. მე ჯუანშერს და რუსული ენის მასწავლებელს თენგიზ გოდამრელიძს ვუთხარი, რომ შესულყივნენ სამასწავლებლოში, ვინაიდან მე შელაპარაკებას არ ვესწრებოდი და ჩემზე იერიშს არ მოიტანდა. რომ შემოვიდა, თოფი ხელში არ ეჭირა. მივხვდი, რომ გარეთ კარებთან ჰქონდა მიყუდებული. შემოვიდა გინებით: _ სად არისო? ვუთხარი, _ საქართველოში ხართ და გასაყოფი რა გაქვთ-მეთქი. თან მისკენ მივდიოდი. მანძილი იყო დაახლოებით ხუთი მეტრი იყო. ლაპარაკით რომ მივუახლოვდი, მოულოდენელად დავარტყი მარჯვენა ხელი. ის დავარდა. მე გავედი გარეთ, ვნახე, რომ თოფი კარებთან იყო მიყუდებული. ორლულიანი თოფი გავხსენი, სადაც ორი ჟაკანი იყო. თოფი დავარტყი ბეტონის პიკეტს და შუაში გადავტეხე. რომ შევედი, თოფის პატრონი სამასწავლებლოში დივანზე

იწვა. ჯუანშერი თითქმის ყოველ წელს იხდიდა დაბადების დღეს და არ მახსოვს, მის დაბადების დღეზე არ ყოფილიყვნენ თენგიზ არჩვაძე და ზურაბ ქაფიანიძე. თამადად ყოველთვის იყო სიმონიკა სხირტლაძდე, რომელსაც თამადობაში საქართველოში ბადალი არ ჰყავდა.

სიმონიკა სხირტლაძესთან დაკავშირებით მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო.

50-იან წლებში მოსკოვში უმაღლესში სასწავლებლად წავიდნენ ჯუხა ვეთეიშვილი, დევი სტურუა, (საშა) ალექსანდრე ჩიკვაიძე, რეზო დოღონაძე, ზურაბ ურუშაძე. ჯუნა და დევი სწავლობდნენ ჟურნალისტიკის ფაკლტეტზე, საშა იურიდიულზე (საშასთან ერთ კურსზე იყო მიხეილ გორბაჩოვი) რეზო და ზურა ფიზიკის ფაკულტეტზე. რეზო დოღონაძე შემდგომში გახდა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი კვანტურ ფიზიკაში. მოსკოვში მას ექვსი ქართველი ასპირანტი ჰყავდა.

ზაფხულში (ზუსტად წელი არ მახსოვს) რეზო თავისი ასპირანტებით ჩამოვიდა თბილისში. გეგმაში ჰქონდა სვანეთში წასვლა. მე და ზურა უკვე სტაჟიანი მეგობრები ვიყავით და ახლაც ვართ. ზურას საპატივცემულოდ დავპატიჟე ჩემთან სახლში მისი მეგობარი რეზო, რომელიც პირველად ვნახე. ასევე სტუმრად მყავდა ჯუანშერ ჯურხაძე და ამირან მესხი, თამადად _ სიმონიკა სხირტლაძე. სიმონიკამ ისე განაცვიფრა თავისი თამადობით რეზო დოღონაძე, რომ მეორე დღეს ჩვენ სუყველა დაგვპატიჟა სუფრაზე. იყვნენ რეზოს ასპირანტებიც, რომელთაც ისე მოეწონათ სიმონიკას თამადობა, რომ ამ ექვსივემ დაპატიჟა სიმონიკა. ერთი სიტყვით, რეზომ და მისმა ასპირანტებმა სვანეთის მაგივრად ორი კვირა სიმონიკასთან ქეიფში გაატარეს.

როდესაც რეზო დოღონაძე გარდაიცვალა _ კისტა აღმოაჩნდა თავში, მოსკოვში გაუკეთეს ოპერაცია, ოპერაიის შემდეგ წნევა დაუვარდა და წნევის დავარდნა გახდა გარდაცვალების მიზეზი. მის დაკრძალავაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მეცნიერები, რომლებმაც გამოსამშვიდობებელ სიტყვაში თქვა: “ბატონ რეზო დოღონაძის სახით მსოფლიომ, ფიზიკის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

ზურაბ ურუშაძესთან დაკავშირებით მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, როდესაც დევი სტურუა ცეკას მდივნად დანიშნეს, მან დაიბარა ზურა და მისი მეუღლე გურანდა, რომელიც ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იყო და უთხრა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ბევრი ფულით ეწყობაო. ზურა და დევი პირველი კლასიდან ერთად მოდიოდნენ. ამიტომ შენ მინდა მისაღებ გამოცდაზე ფიზიკაში, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო, ხოლო გურანდა ბიოლოგიაში.

კარგად მახსოვს 29 ივლისი იყო, მსოფლიო ჩემპაიონატი ტარდებოდა კრივში. განსაკუთრებით მაინტერესებდა მსოფლიო ჩემპიონის რიბაკოვის ბრძოლა, რომელიც მარცხენა აპერკოტით ღვიძლში, აგდებდა მოწინააღმდეგეებს. სწორედ დაიწყო რიბაკოვის ბრძოლა, როდესაც ჩემთან ბინაში ღია კარებთან (ჩემი ბინის იატაკი მიწიდან მეტრანახევრის სიმაღლეზე იყო) უცნობმა ქალმა დამიძახა: ბატონო უშანგი, დაგიჩოქებთო. მე ვუთხარი: _ ქალბატონო, შემობრძანდით, რაშია საქმე? მან კვლავ გამიმეორა ბატ. უშანგი დაგიჩოქებთო, კვლავ გავუმეორე _ რაშია საქმე? მითხრა, რომ _ ჩემმ ქალიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები უნდა ჩააბაროს, ფიზიკაში შუამავლები დამპირდნენ ნიშანს, მაგრამ აუღებელ ციხე-სიმაგრეს წააწყდნენ ზ. ურუშაძის სახით და რჩევა მომცეს, რომ მთაწმინდაზე ცხოვრობს ზურას მეგობარი უშანგი ჩიკვაიძე და ზურა უშანგის უარს ვერ ეტყვისო. მე ვიცოდი, რომ ზურა და გურანდა ორი კვირით ადრე ჩაკეტილები იყვნენ სამედიცინო ინსტიტუტში. მე ვუთხარი _ ქალბატონო, სამწუხაროდ ვერ დაგეხმარებით, იმიტომ რომ ზურა და მისი მეუღლე ორი კვირაა რაც გამქრალები არიან.

1990 წელს სექტემბრის თვის დასაწყისში შემხვდა ჩემი მეზობელი ანდრო ბრეგვაძე, რომელიც “მრგვალი მაგიდის” წევრი იყო, მუშაობდა თელასში. მას ახლდა თელასის თანამშრომელი, რომელიც მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი იყო. მათ მითხრეს, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოებას ჯაბა იოსელიანი და მგელაძე ავიწროებდნენ. მგელაძე ახალგაზრდობაში 15 ტრამვაიში ჯიბგირობდა. ჯაბას წარსულიც კარგად მოგეხსენებათ: ლენინგრადში ჯაბამ, ვერელმა ლამაზ ვალოტკამ და კიდევ სამმა, _ ბალერინა მოკლეს ბინაში და დიდი ძალი სიმდირე გაიტანეს. სასამართლომ ლამაზ ვალოტკას და კიდევ ბანდის ერთ წევრს დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენ სამს, ჯაბას ჩათვლით, 25-25 წელი. დაახლოებით 1988 წელს ჯაბამ დააარსა მხედრიონი, რომელისაც გვერდში ედგა მგელაძე _ უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრის დარგში. ანდრომ და მისმა სამახურის ამხანაგმა მთხოვეს, რომ გამხდარიყავი მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი. მეც თანხმობა მივეცი. საზოგადოების თავმჯდომარე იყო ჯერ ენვერ ჩარკვიანი, შემდეგ ვაჟა ადამია, რომელიც საზოგადოებაში ყოველთვის პირველ ნომრად ითვლებოდა.

1991 წლის 26 მაისს მერაბ კოსტავასა დაბადების დღეს მთელი საზოგადოება ავედით მერაბ კოსტავას საფლავზე, სადაც მოვიდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც გამოვიდა სიტყვით. მის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვაჟა ადამიამ, რომელიც მერაბ კოსტავას მეზობელი იყო და ერთად გაზრდილები იყვნენ. მან მერაბი ციმბირში გადასახლებაში ინახულა.

ვაჟა ადამიამ ილაპარაკა მისი სწავლის პერიოდზე, ასევე დაწვრილებით ილაპარაკა მის პატიმრობაში ყოფნაზე და შემდეგ მის მომავალ გეგმებზე. მე საფლავთან ახლოს ვიდექი. რომ დამთავრდა და წამოვედით, ილია ჭავჭავაძის

საფლავის წინ დავინახე თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, მივედი მასთან და ვუთხარი: _ თენგიზMმიცანი? მან მიპასუხა, _ როგორ არაო, უშანგი, და გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ერთ დღეს დილით, მთაწმინდაზე ჩემთან სახლში ამოვიდა ჩემი თანაკურსელი და მეგობარი სულიკო მდივანი, რომლმაც მითხრა, რომ ორი დღის წინ ჩემმა ამხანაგმა თენგიზ კიტოვანმა, რომელიც სწავლობს სამხატვრო აკადემიაში, ორი დღის წინ თამაზ კანდელაკს, რომელიც იყო ყოფილი მძიმე წონის მოკრივე და შემდგომში გალოთდა.

“დარიალთან” ნასვამი რომ ამოვიდა, რაღაც მიზეზის გამო თენგიზმა მას გაარტყა. ისიც დასძინა, რომ თამაზი მაგარი ნასვამი იყო და ბარბაცებდა. თენგიზს რომ გაუტყავს, დავადნილა და მას ეძებენ თამაზის მეგობრები. მე თამაზთან ძალიან ახლოს ვიყავი ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ის კრივს მისდევდა და მის შემდეგაც, ვიცოდი, რომ ის მეგობრობდა გოგი ჯარსკლაძესთან და მალხაზ ეგანოვთან, რომელიც იყო ცნობილი კალათბურთელი. ქართველი კალათბურთელები საბჭოთა კაშვირის ჩემპიონები რომ გახდნენ, მისი დამსახურებაც იყო და ოქროს მედალიც ჰქონდა. მალხაზიც გალოთდა 5 წლის პატიმრობის შემდეგ. პატიმრობის მიზეზი იყო ის, რომ ნოდარ დუმბაძე, მალხაზ ეგანოვი, როსტომ ბარათაშვილი და ირაკლი ჩიქოვანი იყვნენ ერთად რესტორან “გემოში”, რომელიც რუსთაველის მეტროს ადგილას იყო.

”გემოში” იყო საბურთალოელი ტარზანა, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანთან შელაპარაკება მოუვიდა. ირაკლიმ ტარზანა დანით დაჭრა ფეხში. დანა მოხვდა არტერიას და სისხლისგან დაიცალა. მომხდართან დაკავშირებით დააპატიმრეს ნოდარ დუმბაძე, მალხაზ ეგანოვი და როსტომ ბარათაშვილი. მკვლელი ირაკლი ჩიქოვანი გარეთ დარჩა.

რომ იტყვიან კაცის მკვლელი კაცის ხელით კვდებაო ის მისმა მეგობარმა თავის სახლის წინ მოკლა: _ ორივენი ნასვამები იყვნენ. შემდეგ ირაკლის მკვლელიც თავის სახლთან მოკლეს (ისიც ხომ ნათქვამია, რომ “კაცის მკვლელი კაცის ხელით კვდებაო”, _ მართლდება) სასამართლომ როსტომ ბარათაშვილი ცნო დამნაშავედ, როგორც მკვლელი ათი წლით პატიმრობა მიუსაჯა მალხაზ ეგანოვს _ 5 წლის პატიმრობა. საქართველოს მწერლების ბულბული ნოდარ დუმბაძე, ძიების მიერ ოთხი თვის შემდეგ განთავისუფლდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თენგიზას ეძებდა თამაზი და მისი მეგობრები და როგორც სულიკომ მითხრა, უპირებენ სიკვდილის პირამდე ცემას. მე სულიკოს ვუთხარი: _ წავიდეთ ახლავე, თამაზისთან სახლში, რომელიც ჩემგან არც ისე შორს ცხოვრობდა. საბედნიეროდ თამაზი სახლში დაგვხვდა. თამაზს ვუთხარი: _ თამაზ მოვედი, რომ ერთი კაცი მაჩუქო. თამაზმა მითხრა _ მაგ ამბავთან დაკავშირებით რომ არ მოსულიყავი, კარგი იქნებოდა. მე ვუთხარი, _ ამ საღამოს

დარიალში გეპატიჟები, თენგიზასაც მოვიყვან და ბოდიშს მოგიხდის. იმ საღამოს მე გადაუდებელი საქმე მქონდა და დარიალში ვერ წავედი, მათ კი კარგად იქეიფეს, ჩემი სადღეგრძელოც განსაკუთრებით დალიეს.

მინდა აღვნიშნო კომუნისტების მიერ შექმნილი "საბჭოთა კავშირი" რომელიც ვითომდა კომუნიზმს პირდებოდა მოსახლეობას და იყო უტოპიური ცრუ ლოზუნგი "ყველასაგან შეძლებისამებრ და ყველას მოთხოვნისამებ", აგებული იყო ადამიანების განადგურებაზე როგორც მორალურად ასე ფიზიკურად. ადამიანთა მორალური განადგურებისთვის შექმნეს დაუწერელი კანონი კანონიერი ქურდებისათვის, რომელმაც არა ერთი ნიჭიერი პატიოსანი ადამიანი აიძულა ასცდენოდა გზას მისი თავმოყვარეობისათვის.

ამის ერთი მაგალითი იყო ბუჭუ ბოჭორიშვილი, რომელმაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერდათ ვსწავლობდით მე _ სამრეწველო სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, ბუჭი კი სამთო ფაკულტეტზე, რომელმაც ხუთიანებზე (წითელ დიპლომზე) დაამთავრა ინსტიტუტი და შემდეგ სამწუხაროდ, მიზეზთა გამო გახდა, კანონიერი ქურდი. მიზეზი იყო ის, რომ ბუჭუ და კიდევ სამი, რომელთაგან ერთი იყო კანონიერი ქურდი საუბრის დროს რატომღაც ბუჭუს უთხრა "შენ საერთოდ ჩვენთან არ უნდა იდგეო". ვითომ რახან ბუჭუს ფრიადებზე ჰქონდა დამთავრებული ინსტიტუტი. ამ შეურაცხყოფისათვის ბუჭუ მას ვერ დაარტყავდა, იმიტომ რომ დაარტყა ქურდს, ბოზი ხარ, ბოზი თუ ხარ უნდა იყო ყველასგან გარიყული, როგორც იყო ერთი ჩემი თანაკლასელი გარიყული, გარდა ჩემგან, რომ იტყვიან ზოგი ჭირი მარგებელიაო, სკოლაში სწავლის პერიოდში სწავლაში მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდა, შემდეგ კი გახდა უნივერსიტეტის ეკონომიკური კათედრის პრფოესორი და რომ გრძნობდა რომ მე არასოდეს მიმქცევია ყურადღება იმისთვის თუ რა სახელიც ჰქონდა. ეს სახელი მან დაიმსახურა მას შემდეგ, როდესაც ის შეუერთდა ყაჩაღთა ჯგუფს და მილიციაში აღიარა დანაშაული და დაასახელა ამ ბანდის წევრები.

ეს იყო 1950 წელი. და როდესაც ის 1985-იან წლებში სოცუზრუნველყოფის სამინისტროში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და როდესაც მე მას ვუთხარი, რომ თირკმლის კენჭოვანი დაავადება მაქვს სამჯერ გამიშვა ტრუცკავეცის სანატორიუმში სამკურნალოდ. როდესაც განცხადებით მივმართე პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს, ჩემი განცხადება იქნა გადაგზავნილი შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროში დასაქმების განყოფილება იყო კრწანისში ე. შევარდანძის ასახვევთან, რომლის ხელმძღვანელიც იყო დიდებული ქართველი ქალბატონი თამარ ანთაძე. როდესაც ქალბატონი თამარ ანთაძე ვნახე, მან მითხრა ბატონო უშანგი თქვენი შესაფერისი სამსახური არ მაქვსო, თუ რამე გამოჩნდა შეგატყობინებთო.

იმ საღამოს ავტოსერვიზში რომელშიც 4 ბოქსი მარცხნივაა, 4 კი მარჯვნივ. მარცხენა მეორე ბოქსი საღამოს აინთო სინათლე, მივხვდი, რომ ეს სინათლე ე. შევარდნაძეს ეხებოდა, ისიც მივხვდი, რომ პრეზიდენტი თავის მინისტრებს ეჭვის თვალით უყურებდა. ასეთმა გამოცდილმა პოლიტიკოსმა, ყოფილმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მხარში ამოიყენა ისეთი ადამიანები, რომლებიც ხალხს არ უყვარდა, უფრო სწორად ვერ იტანდნენ. უნდობლობის ერთი მაგალითია ბათუმის ამბავი, როდესაც მე მას 2003 წლის 7 ნოემბერს მივაწოდე, ხოლო რვა ნოემბერს თვითონ ეწვია ბათუმს და ეს ჩემი განცხადება შემდგომში იქნა გადაგზავნილი გლდანის გამგეობაში.

2003 წელს ზაფხულში ვიყავი წასული ჩემს ნათესავთან სოფელ იანეთში. სოფლის გამგეობამ მოსახლეობა ექსკურსიაზე ბათუმში წაიყვანა. როგორც სტუმარი, მეც წამიყვანეს. ქალაქის დათვალიერების შემდეგ შევედით სასადილოში. ჩვენი სტუმრობა "აღორძინებას" არ გამოჰპარვია და სასადილოში შემოვიდა "აღორძინების" ექვსი წევრი, რომლებიც სუფრაზე მოიპატიჟეს. სადღეგრძელოს შესმის დროს ექვისვემ განაცხადეს, რომ აჭარა იქნება საქართველო მართველი, მე ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ ისი კი კარგად ვიცი აჭარა ძალიან დიდხანს იყო თურქეთის ხელში. მაშინ ჩვენმა ძალოსნებმა ჩემი ყოველი ფეხის ნაბიჯი იცოდნენ და 2003 წლის 6 ნოემბერს რუსთაველზე გავიარე, ლაღიძის წინ აჭარის ავტობუსი იდგა. იმ საღამოს ზემოთ ნახსენებ ბოქსში აინთო სინათლე 7 ნოემბერს განცხადებით მივმართე პრეზიდენტს, სადაც დაწვრილებით ვწერდი ბათუმის ამბებს, 8-ში კი პრეზიდენტი აჭარას ეწვია, ხოლო ჩემი განცხადება გადმოგზავნილი იქნა გლდანის რ-ნის გამგეობაში.

ნოდარ ცინცაძემ ცოლი მოიყვანა 1948 წელს ნათელა ჟორდანია, კუკუ ჟორდანიას ქალიშვილი, რომელიც ცხოვრობდა სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე. მაყრები ვიყავით ვახტანგ ოდიშვილი, გივი კარტოზია და მე. მზითვათ წამოვიღეთ კუკუ ჟორდანიას ნაყიდი პიანინო. კუკუ იყო ღვინის ტექნოლოგი, ქუთაისში განთქმული მოქეიფე, რომელსაც სიურპრიზები უყვარდა. ქუთაისში დაიქირავებდა ათამდე ფაეტონს, თვითონ იჯდა წინ, პირველ მეორეში ედო მაკენტოჟი, მესამეში ქუდი და ა.შ.

ნოდარ ცინცაძე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი რომ დაამთავრა, ვახტანგ ოდიშვილთან ერთად სტუდენტობის დროს ერთად ჭიდაობდნენ უნივერსიტეტის დარბაზში. ვ. ოდიშვილი საკმაოდ ძლიერი

მოჭიდავე იყო, მაგრამ ჭიდაობას არ გაყვა, რომ გაყოლოდა გივი კარტოზიასავით შორს წავიდოდა და სახელგანთქმული იქნებოდა.

ვ. ოდიშვილი შ.ს. სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა. ცამეტი წლის განმავლობაში სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი იყო.

1994 წ როცა ვიყავი უკვე მოქალაქეთა კავშირის წევრი, ვ. ადამიას ვაჟს ყუმბარა ხელში აუფეთქდა. პანაშვიდზე ყოველდღე ადვდიოდი. მეორე პანაშვიდზე მისვლისას, ი. ჯავახიშვილის აღმართზე დამეწია უშიშროების ნაცნობი თანამშრომელი, რომელიც 1994 წლის 18-20 მარტამდე მოქალაქეთა კავშირის I ყრილობაზე ფილარმონიაში უკან მედგა, როცა დავალებული მქონდა დელეგატების შეშვება, ხოლო კარების ჩაკეტვის შემდეგ ზემოდან თვალყური დევნა დარბაზში მყოფთათვის.

დარბაზის შუა რიგებში იჯდა სახელმწიფოს მაშინდელი მეთაური ე. შევარდნაძე, მის გვერდით კი ბოლომდე იჯდა პოეტი რ. ამაშუკელი. ყრილობის ერთ-ერთ დღეს შემოვიდა შლიანიანი კაცი, რომელსაც საბუთების ჩვენება ვთხოვე. რუსულად მკითხა _ "რაო"? ისევ გავუმეორე: _ საბუთი წარმოადგინეთ-მეთქი. მაშინ ჩემს უკან მდგარმა უშიშროების 4 თანამშრომელთაგან ერთერთმა (რომლებიც ქალებსაც ხელჩანთებს უსინჯავდნენ, ხოლო კაცებს აპარატით ამოწმებდნენ) მითხრა: _ "ბატონო უშანგი, ეს არის ზევსკი, რუსეთის ელჩიო". ცხადია, გავატარე. სწორედ იმ დღეს მინდა ვაღიარო ჩემი უყურადღებობა: ჩემი მთაწმინდელი მეზობლის მეუღლის მსახიობ კირა ანდრონიკაშვილს, რომელსაც სახით ვცნობდი, დიდი ჩანთის მიუხედავად, არ შევამოწმე და ისე შევუშვი, ხოლო უშიშროების თანამშრომლებმა ჩანთა მაინც შეუმოწმეს და მეც ჩარევა რატომღაც არც ვცადე. იმ თანამშრომელმა, რომელმაც "შლიაპიანზე" მიმითითა, რომ ის ზევსკი იყო, მითხრა, რომ ვ. ადამია შვილის გასვენებაში მოვსულიყავი. მივხვდი, რომ გასვენებაში მოვიდოდა სახელმწიფო მეთაური ე. შევარდნაძე. მეორე დღეს გასვენებაზე ადრე მოვედი. დავდექი შენობის კუთხეში,

საიდანაც კარგად ჩანდა მთელი ეზო, _ შემოსასვლელებით, ასევე ის ოთახიც, სადაც ესვენა მიცვალებული. ჩემმა ინტუიციამ გაამართლა. ხალხი საკმაოდ ბევრი იყო. ჩემთან დადგა კოსტავას საზოგადოების ორი წევრი, რომლებთანაც ახლოს ვიყავი. რომ შეიტყვეს, _ ვიყავი მოქკავშირის წევრი, არ ესიამოვნათ და ეს სიტყვიერადაც გამოხატეს.

შემდეგ კიდევ სამი, ჩემთვის უცნობი ადამიანი, შემოგვიერთდა. გამოსვენებამდე დაახლოებით 1 საათით ადრე მოვიდა სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე. ეზოში რომ შემოვიდა, ყველა მისკენ იხედებოდა. ერთერთმა ჩემთან

მდგომმა უცნობმა პირმა თქვა: ნეტავ მისთვის მიმაშვებინაო, მე ვუთხარი: სამძიმარზე მოსულს რომ მიუშვა _ ამას არ ექნება გამართლება-მეთქი.

1946 წელს შევედი თბილისის სააღმშენებლო ტექნიკუმში, რომელიც დავამთავრე 1950 წელს, 1956 წელს შევედი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში "სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის" ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1962 წელს. ვმუშაობდი თბილმშენის მე-5 სააღმშენებლო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად წყალთა მეურნეობის სამინისტროში ტოპოგრაფად ცეკავშირის საპროექტო კანტორაში ინჟინერ-კონსტრუქტორად, ქალაქის საბჭოს კეთილმოწყობის საპროექტო კანტორაში ინჟინერ-კონსტრუქტორად.

ოჯახის შექმნაში არ გამიმართლა. ერთი გოგონა ჩემი შეყვარებული თვრამეტი წლისა მოკვდა, ხოლო დანარჩენ ორს ვერ შევეწყვე. ესაა სულ,. რა პატარა ყოფილა წუთისოფელი...